პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

№ 123 (8931)
29 ივნისი,
შაბათი,
1985 წ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან ● ფასი 3 კაპ.

პირველად ქართული სპორტის ისტორიაში

ამ ინფორმაციის პირველსავე სტრიქონებში გვინდა სასიხარულო ამბავი ვაუწყოთ მკითხველს. საქართველოს სპორტის ისტორიაში კიდევ ერთი საამაყო ფურცელი ჩაიწერა. ქართველი მხედარი პირველად გავიდა საერთაშორისო სარბიელზე და თვალსაჩინო წარმატებით გაამდიდრა ქართული და საბჭოთა სპორტის მატიანე. ეს მხედარი გახლავთ ჩვენი მკითხველისთვის კარგად ცნობილი ხარლამ სიმონია.

დაბრკოლებათა გადალახვაში გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობდნენ უნგრეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, სსრ კავშირისა და გდრ-ის უძლიერესი ცხენოსნები. **საბჭოთა ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ხარლამ სიმონიამ („კოლმეურნე") ჯერ ახალგაზრდა ცხენით — ხერსონით გაიმარჯვა (დაბრკოლებათა სიმაღლე 150 სმ), შემდეგ კი კასპიაზე (უფროსი ასაკი) ამხედრდა და ყველას აჯობა გაძლიერებული სირთულის კონკურში, სადაც დაბრკოლებათა სიმაღლე 160 სმ იყო.** აღსანიშნავია, რომ ორივე შეჯიბრებაში ჩვენმა სპორტსმენმა მთელი ტრასა უშეცდომოდ გაიარა და არც ერთი საჯარიმო ქულა არ მიუღია. **სიმონია პირველი ცხენოსანია საქართველოდან, რომელმაც საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა.**

მოსკოვში დაბრუნებისთანავე ხარლამი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში ჩაება. ფაკულტატურ შეჯიბრებაში იგი ხერსონით III საპრიზო ადგილზე გავიდა, ამავე პრიზზე სიმონიამ კასპითაც იასპარეზა და ქვეყნის უძლიერესი მხედრის სახელი დაისაკუთრა. დღეს ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი ორივე ცხენით საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში უნდა გამოსულიყო, მაგრამ გუშინ ჩემპიონატი შეწყდა კარანტინის გამოცხადების გამო.

საზონათაშორისო ტურნირი

ახალგაზრდული შემართებით

ჟელეზნოვოდსკი, 28 ივნისი (ტელეფონით, „ლელოს" სპეც. კორ). მოჭადრაკე ქალთა მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირში გაიმართა VI ტური და შეხვედრები გადადებული პარტიების დასამთავრებლად.

VI ტურში მატვეევამ სძლია ჰოიბერგს. კვლავ დამარცხდა ლიუ შილანი, ამჯერად ლებელ-არიასთან. გაფრინდაშვილმა მოუგო ფერერ-ლუკაჩს, არბუნიჩმა — ზაიცევას. ყაიმზე შეთანხმდნენ კადილკარი — ვუ მინგ კვენი და მურეშანი — ივანკა. გადაიდო ორი პარტია: გურიელი —ლიტინსკაია და გლაზი — ბრუსტმანი.

დამთავრდა რამდენიმე გადადებული პარტია. გაფრინდაშვილმა მოუგო ბრუსტმანს და წააგო მატვეევასთან. ლიტინსკაიამ დაამარცხა მატვეევა და დაუზავდა გურიელს. მურეშანმა სძლია გლაზს. ქულა გაიყვეს ლებელ-არაისმა და არბუნიჩმა. ორი პარტია (ივანკა-კადილკარი, გლაზი-ბრუსტმანი) კვლავ გადაიდო.

6 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში არიან: სვეტლანა მატვეევა — 4,5 ქულა, მარტა ლიტინსკაია, მარგარეტ მურეშანი (რუმინეთი), ჯოვანა არბუნიჩი (ჩილე) — 4-4, ნონა გაფრინდაშვილი, ვუ მინგ კვენი (ჩინეთი) — 3,5-3,5, აგნეშკა ბრუსტმანი (პოლონეთი) — 3 (1), ნინო გურიელი, ლიუდმილა ზაიცევა და ნინა ჰოიბერგი (დანია) — 3-3.

დათო ჟიჟინაძე.

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში

შეჯიბრება განახლდა

გუშინწინ ჩემპიონატის მონაწილენი ისვენებდნენ. ამ დღეს მათ გვირგვინებით შეამკეს კანადაში, სტუდენტთა მსოფლიო უნივერსიადაზე ტრაგიკულად დაღუპული თბილისელი სერგო შალიბაშვილის საფლავი. შალიბაშვილის ყოფილმა მეტოქეებმა, თანაგუნდელებმა და მეგობრებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს საბჭოთა კავშირის თასის სამგზის მფლობელის, ნორჩ წყალში მხტომელთა ევროპის ჩემპიონატისა და სხვა შეჯიბრებათა გამარჯვებულის ხსოვნას.

გუშინ ასპარეზობა განახლდა. 10-მეტრიანი კოშკიდან მხტომელი ქალები ფინალის რვა საგზურს ეცილებოდნენ ერთმანეთს. შეჯიბრების მონაწილეთა შორის იყვნენ ცნობილი სპორტსმენები: მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, „დრუჟბა-84"-ის გამარჯვებული, პენზელი ალა ლობანკინა, ევროპის თასის გათამაშების გასული წლის პრიზიორი, მინსკელი ანჟელა სტასიულევიჩი და სხვები. მასპინძელთა სპორტულ ღირსებას ელენა ბილიოვა და ლიანა ცოტაძე იცავდნენ.

შევახსენებთ, რომ ელენა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატია, 1982 წელს სსრ კავშირის თასს ფლობდა, ლიანას კი, ვფიქრობთ, წარდგენა არ სჭირდება.

სხვათა შორის, ლიანა კარგა ხანია აუზს არ გაკარებია. იგი დედა გახდა, ვარჯიში ხუთი-ექვსი თვის წინათ განაახლა და ჩვეული სპორტული ფორმაც დაიბრუნა. სპეციალისტების აზრით თუ ლიანამ შეჯიბრებაზეც ისეთივე ნახტომები შეასრულა, როგორსაც ვარჯიშებზე ასრულებდა, პრიზიორთა შორისაც შეძლებს დაიმკვიდროს ადგილი.

გუშინ საღამოს გამართული წინასწარი შეჯიბრებების შემდეგ ფინალის საგზურები მოიპოვეს: ლობანკინამ — 409,14 ბალი, სტასიულევიჩმა — 393,60, ინგა აფონინამ (უკრაინა) — 375,51, ცოტაძემ — 354,00, ელენა გუსლიანიკოვამ (რსფსრ) — 352,50, ბილიოვამ — 342,13. ტატიანა პესკიშევამ (მოსკოვი) — 327,39 და ტატიანა კუზნეცოვამ (რსფსრ) — 322,14.

დღეს, 11 საათზე გაიმართება ვაჟთა შორის კოშკიდან წინასწარი ხტომები, ხოლო 17 საათზე ქალთა ფინალური ასპარეზობა.

დებიუტანტი

გურამ ქარჩაიძე

სამბო

დაიბადა 1968 წლის 8 იანვარს თბილისში. სპორტის ოსტატი ქართულ ჭიდაობაში, სპორტის ოსტატობის კანდიდატი სამბოსა და ძიუდოში. სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" წევრი. სიმაღლე — 179 სმ, წონა—73 კგ. თბილისის 141-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული. სპორტში მეცადინეობა 1979 წელს დაიწყო.

მწვრთნელები — სპარტაკ ჯინორიძე და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ არაბული.

რესპუბლიკის ორგზის ჩემპიონი ქართულ ჭიდაობაში ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის. ორჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი (ჭაბუკთა და ახალგაზრდებს შორის) სამბოში და ძიუდოში. ჭაბუკთა საკავშირო ტურნირების მრავალგზის პრიზიორი.

ინფორმაცია

ცურვა

ბონი. გფრ-ის მოცურავეთა ჩემპიონატში ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონმა მიჰაელ გროსმა თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 3.47,80. ეს შედეგი 0,52 წამით სჯობს მოსკოველი ვლადიმერ სალნიკოვის ძველ რეკორდს.

სასტენდო სროლა

ანტიბი. საფრანგეთის ამ ქალაქში გრძელდება ევროპის მესტენდურეთა ჩემპიონატი. ჩატარდა შეჯიბრება ბატრანშეო სტენდზე სროლაში. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ალექსანდრე ასანოვი, დიმიტრი მონაკოვი და ალექსანდრე სტაროდუბი, გუნდურ ტურნირში მეორე ადგილი დაიკავა — 435 ქულა, ოქროს მედლები კი იტალიელ მსროლელებს გადაეცათ — 438 ქულა. მესამე ადგილი ესპანელ სპორტსმენებს ხვდათ — 432 ქულა.

ხელბურთი

სოფია. ამ ტურნირს უკვე 9 წლის ისტორია აქვს: ხელბურთელ ქალთა საერთაშორისო შეჯიბრებაში „შავი ზღვის" თასის მოსაპოვებლად იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის, გდრ-ის, რუმინეთის, პოლონეთის, საფრანგეთისა და ბულგარეთის გუნდები. სასტარტო მატჩში საბჭოთა ხელბურთელები ტურნირის მასპინძლებს შეხვდნენ. გაიმარჯვა ჩვენმა გუნდმა — 31:16.

მძლეოსნობა

სოფია. ბულგარეთის მძლეოსანთა ჩემპიონატში გადატანილი ტრავმის შემდეგ პირველად გამოვიდა მსოფლიოს რეკორდსმენი ლიუდმილა ანდონოვა და მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა (195 სმ). პირველობა კი 20 წლის სტეფკა კოსტადინოვამ მოიპოვა. მან 201 სანტიმეტრის სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა. ბულგარეთს ამჟამად ჰყავს სიმაღლეზე მხტომელ ქალთა საკმაოდ ძლიერი ჯგუფი, რომელთა საუკეთესო შედეგები მსოფლიო სტანდარტებს უთანაბრდება: ანდონოვა — 207 სმ (მსოფლიო რეკორდი), კოსტადინოვა (201 სმ), იორდანკა ბლაგოევა (194 სმ) და სვეტლანა ისაევა (192 სმ).

ჭადრაკი

მეხიკოს ქალაქ ტასკოში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო პირველობის საზონათაშორისო ტურნირის მონაწილეებმა გუშინწინ დაამთავრეს 12 ტურის მანძილზე დაგროვილი გადადებული პარტიები. ტალი ყაიმზე შეუთანხმდა ბრაუნს, მაგრამ ბალაშოვთან ვერ მოასწრო პარტიის დამთავრება. რომანიშინი დაუზავდა სპილმენს.

ამრიგად, პრეტენდენტის ტურნირის ერთ საგზურს ვადამდე დაეუფლა 33 წლის იან ტიმანი (ჰოლანდია)—9,5 ქულა. ნიჭიერი დიდოსტატი პირველად მიიღებს მონაწილეობას პრეტენდენტთა პაექრობაში. დანარჩენ სამ საგზურზე თვალი უჭირავთ ხესუს ნოგეირასს (კუბა), კევინ სპრაგეტის (კანადა) — 8-8 ქულა და მიხეილ ტალს — 7 ქულა და ერთი გადადებული პარტია.

ლიდერებს კვალში მიჰყვებიან: მიშო ციბალო (იუგოსლავია), ჯონათან სპილმენი (ინგლისი) — 6-6, ოლეგ რომანიშინი, იოჟეფ პინტერი (უნგრეთი), სიმენ აგდესტეინი (ნორვეგია) — 5,5-5,5, ცი ცზინგანი (ჩინეთი)— 5 (1), მარსელ სისნიეგა (მექსიკა), სამედ ალამედ საედი (არაბთა გაერთიანებული ემირატები) — 5-5...

გამოვიდა ჟურნალ „მართვეს“ 1985 წლის პირველი ნომერი. იგი იხსნება სიტყვით, რომელიც საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაკთა აქტივის კრებაზე წარმოთქვა რესპუბლიკის განათლების მინისტრის მოადგილემ მამია დარჩიამ. თენგიზ თომაშვილის წერილში „სადღეისო მოთხოვნებით ნაკარნახევი ცვლილებები“ საუბარია მშდ კომპლექსის ახალ ვარიანტზე. ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების მე-40 წლისთავს ეძღვნება ნანა ჯოხარიძის ნარკვევი „აბრეშუმის გუმბათის რაინდი“. „მიმოიხედე ირგვლივ“ —ურჩევს მკითხველს ავთანდილ ციბაძე, რომელიც გვესაუბრება ტურიზმის სიკეთეზე და საინტერესო ტურისტულ მარშრუტსაც გვთავაზობს. რუბრიკით „ოსტატი და შეგირდი“ იბეჭდება ელგუჯა ბერიშვილის წერილი საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელზე კარლო ჯოჯუაზე. მკითხველი უდავოდ ინტერესით გაეცნობა შემდეგ წერილებსაც: „მოყვარეს პირში უძრახე“ (ავტორი — გიორგი ჩოჩიშვილი), „ფიზიკური კულტურის ფუნქციები“ (შოთა მარდაშვილი), „კეისარს კეისრისა“ (პეპი ბოჭორიშვილი), „[illegible] დავძლევთ სიზარმაცეს“ (გიორგი ეწერელი).

„ფეხბურთი ჩემი ცხოვრებაა“ — ასე ეწოდება დემიკო ლოლაძის ინტერვიუს წარსულში ცნობილ ფეხბურთელთან, საკავშირო ტელევიზიის სპორტულ კომენტატორთან ვლადიმერ მასლაჩენკოსთან. „შეიძლება თუ არა სიმაღლეში გაზრდა?“ — ამ შეკითხვაზე პასუხს მიიღებთ წერილში, რომელიც იბეჭდება რუბრიკით „შეიცან თავი შენი“. „შიშს უნდა გაუსწრო“ — თვლის ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტი რუდოლფ მარეკი, რომელიც უშიშარ სამთომოთხილამურეებზე მოუთხრობს მკითხველს. ჟურნალის ამ ნომერში გრძელდება ბეჭდვა კარენ და პეტერ ცებროფების წიგნისა—„იოგა ოჯახში“. ტრადიციული რუბრიკების („რეტრო“, „8X8“) გვერდით „მართვე“ მკითხველს სთავაზობს ახალ რუბრიკასაც — „მხიარული ობიექტივი“.

ჟურნალის ეს ნომერი უხვადაა ილუსტრირებული, მეტად მიმზიდველია მისი გარეგნული სახეც.

შეიძლება თუ არა სიმაღლეში გაზრდა?

ჩვენს მშფოთვარე საუკუნეში, როცა ამდენი სასწაული ხდება, როცა ხალხური ზღაპრების ლამის ყველა ნატვრა და ოცნება სიცხადედ იქცა, კაცს თითქოს არაფერი უნდა უკვირდეს, მაგრამ... მაინც საოცარია, ცოცხალი ასფურცელა და აღიხანჯალა სადღაც შენს გვერდით რომ არიან, ჩვეულებრივი ტანსაცმელი აცვიათ, ჩვეულებრივ კერძებს გეახლებიან, ჩვეულებრივ დგებიან კინოს ბილეთების რიგში... არადა, ეს ჩვენი გამონაგონი სულაც არ გახლავთ. ასეთი კაცი მართლაც ცხოვრობს უკრაინაში. კაცი, ვინც სიყმაწვილეშივე შეძლო თავისი წლებისთვის განსაცვიფრებელი სულის სიმტკიცე გამოეჩინა და შეუპოვარი ვარჯიშით მიზანსაც მიაღწია. იგი სპორტსმენი იყო, ნამდვილი სპორტსმენი. თავდავიწყებით უყვარდა სპორტი, გულიც ერჩოდა, ძალაც მოსდევდა, მაგრამ თოთხმეტი წლისამ მოულოდნელად სიმაღლეში ზრდა შეწყვიტა... სწორედ მაშინ მოხდა ის ერთი შეხედვით დაუჯერებელი ამბავი, რომელსაც ეს წერილი ეძღვნება.

კონსულტაცია

სიმაღლე იმ გენეტიკურ ნიშანთა რიგს განეკუთვნება, ადამიანს მემკვიდრეობით რომ გადაეცემა — ისევე, როგორც კანის ფერი, თმის ფერი, თვალების ჭრილი და ა. შ. ამიტომ არის, რომ ტანად დედ-მამას შვილებიც უმეტესად მაღალი ტანისა ჰყავს და პირიქით. ერთი სიტყვით, სიმაღლისთვის მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ამ ფაქტორს ფატალურად მაინც ვერ ჩავთვლით. ალბათ უფრო სწორი იქნება იგი მივიჩნიოთ ერთგვარ საორიენტაციო პირობად, რომლის თანახმადაც ადამიანის სიმაღლე შეიძლება 160-180 სანტიმეტრს შორის მერყეობდეს. აქვე შევნიშნავთ, რომ ბოლო ათწლეულებში მოსახლეობის საშუალო სიმაღლემ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საგრძნობლად იმატა. ეს გახლავთ სწორედ ის მოვლენა, რასაც აქსელერაციას ვუწოდებთ. ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი ამ მოვლენისა, ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, კერძოდ კი უკეთესი კვებაა (შენიშნულია, რომ ომისა თუ სტიქიური უბედურების წლებში ბავშვების სიმაღლე კლებულობს). უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც, სიმაღლეზე მოქმედებს ჰავა და გეოგრაფიული გარემო.

რაც შეეხება ზრდის შეფერხებას, ამის უპირველესი მიზეზია ორგანიზმის მუშაობის სხვადასხვაგვარი დარღვევები — გულის მანკი, ფილტვების, თირკმლების, ღვიძლის ქრონიკული დაავადებანი, ძვლოვანი და ხრტილოვანი სისტემების დაავადებანი, სხვადასხვა სახის ინფექციები და ინტოქსიკაციები. ასეთ შემთხვევებში ზრდის შეჩერება ძირითადი დაავადების თანხლები გამოვლინებაა და ამ სენის განკურნებას, როგორც წესი, ზრდის ნორმალიზებაც მოსდევს.

ზოგიერთი დაავადება კი უშუალოდ მოქმედებს სიმაღლეზე. ამ დაავადებათა მიზეზია დარღვევა შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების მუშაობისა, რომლებიც უშუალოდ გამოიმუშავებენ ბიოლოგიურად აქტიურ ნაერთებს — ჰორმონებს. ცვლილებები შეიძლება სხვადასხვა ასაკში წარმოიქმნას. შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების დაავადებებსა და ზემოაღნიშნულ ცვლილებებს სწავლობს მედიცინის დარგი, რომელსაც ენდოკრინოლოგია ეწოდება.

თუ ბავშვი 20 პროცენტზე მეტით ჩამორჩება თავისი ასაკისთვის ნორმალურ სიმაღლეს, დაუყოვნებლივ ექიმს უნდა მიმართოთ (ნორმალური სიმაღლის დადგენა შეიძლება საგანგებოდ დამუშავებული სტანდარტების ცხრილებით).

სიმაღლე დამოკიდებულია ფიზიოლოგიურ და სოციოლოგიურ პროცესთა მთელ ჯაჭვზე, რომელშიც ცენტრალური ადგილი ჰორმონალურ მექანიზმებს უკავია. დარღვევა ნებისმიერ რგოლში შეიძლება ზრდის შეფერხების მიზეზი გახდეს. ზოგჯერ ზრდა ფერხდება სხვა მიზეზებითაც. ესაა, მაგალითად, ძვლის თანდაყოლილი მსხვრევადობა, სიმსივნეები, ანთებითი და ტრავმული პროცესები და ა. შ. ბოლო ორ ათწლეულში ენდოკრინოლოგიამ დიდი ნაბიჯი გადადგა წინ.

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მედიცინას არ გააჩნდა სიმაღლეში ზრდის დარღვევასთან ბრძოლის რაიმე ეფექტური საშუალება. ბოლო ორი ათწლეულის მანძილზე ენდოკრინოლოგია იმდენად განვითარდა, რომ უკვე შესაძლებელი გახდა ასეთ ავადმყოფებს დავეხმაროთ. 60-იანი წლების შუა პერიოდში მეცნიერებმა შეძლეს ზრდის ჰორმონის — სომატოტროპინის გამოყოფა და სინთეზირება. ამ პრეპარატის კლინიკური გამოყენება ახალ შესაძლებლობას სახავს ზოგიერთი დაავადების მკურნალობაში. გარდა სომატოტროპინისა, ენდოკრინოლოგები იყენებენ სხვა პრეპარატებსაც. ფართოდ გამოიყენება ბიოსტიმულატორები, ვიტამინები, სპეციალური დიეტები, ფიზიოთერაპია.

პლუს 23 სანტიმეტრი

ყველაფერი ზემოთქმული ეხება იმათ, ვისი ზრდის შეფერხებაც რაიმე დაავადებასთან არის დაკავშირებული. როგორ მოიქცნენ ის ახალგაზრდები, თავის დღეში ფრჩხილიც რომ არ წამოსტკენიათ, მაგრამ მაინც გულნაკლულნი არიან თავისი დაბალი ტანის გამო? მოიძებნება თუ არა მათთვის რაიმე წამალი? ვიდრე ამ შეკითხვას პასუხს გავცემდეთ, გვინდა გავიხსენოთ ერთი ამბავი, რომელიც რამდენიმე წლის წინათ მოხდა უკრაინაში.

რომელი მოზარდი არ ოცნებობს დიდ სპორტზე, საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენის სახელზე, ხალხით გაჭედილ სტადიონებზე და საპატიო კვარცხლბეკზე? მაგრამ ოცნებას ყველა როდი ისრულებს — ზოგს ძალა არ ჰყოფნის სამისოდ, ზოგს მოთმინება და ბეჯითად შრომის უნარი აკლია, ზოგს სურვილიც აქვს და ნებისყოფაც, მაგრამ ფიზიკური მონაცემები არ უწყობს ხელს. მაგალითად, ძნელია კარგი სპორტსმენი იყო, თუ შენი არჩეული სახეობის შესაფერისი სიმაღლე არა გაქვს. იმ ბიჭს კი, ვის შესახებაც ამ წერილში გიამბობთ, სწორედ ეს გასაჭირი ადგა: თოთხმეტი წლისამ მოულოდნელად სიმაღლეში ზრდა შეწყვიტა და მთელი ორი წელი ისე გავიდა, 164 სანტიმეტრს ვეღარ გასცდა. რა ხერხს არ მიმართა, რა ვარჯიშებს არ ასრულებდა, მაგრამ თავის მეგობარ სპორტსმენებს ვეღარ დაეწია. როცა თვითონ ყოველგვარი იმედი გადაეწურა, გადაწყვიტა მწვრთნელისთვისაც ეთხოვა დახმარება.

მწვრთნელმა — ვიქტორ ლონსკიმ, კარგმა პედაგოგმა და ცნობილ მხტომელთა აღმზრდელმა, ბიჭს ყურადღებით მოუსმინა და დახმარებასაც დაჰპირდა. დაჰპირდა, ოღონდ ორი სავალდებულო პირობაც დაუთქვა: ჯერ ერთი, მართლა ძალიან უნდა მოინდომო სიმაღლეში გაზრდა, მეორე — რეგულარულად უნდა ივარჯიშო საგანგებო პროგრამითო. მერე კი ხელწერილიც მოსთხოვა, რომ ერთ წელიწადში რვა სანტიმეტრს მოიმატებდა.

მწვრთნელის სიტყვებმა ფრთები შეასხა ყმაწვილს. შეუპოვრობა და სიბეჯითე ისედაც არ აკლდა და ახლა ხომ სულ დაკარგა ძილი და მოსვენება. გულმოდგინე ვარჯიშმა ის ქნა, რომ რამდენიმე თვეში ბიჭმა მართლაც დაიწყო სიმაღლეში ზრდა. ერთ წელიწადში ზუსტად 8 სანტიმეტრი მოიმატა. მშობლები და მეგობრები გაოცებას ვერ მალავდნენ...

მაშინ ლონსკიმ თავის შეგირდს მეორე ხელწერილი დააწერინა — წლის მანძილზე კიდევ 8 სანტიმეტრს მოვიმატებო. ისევ დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა, წვრთნა, ვარჯიში და... მოწაფემ ის მეორე ვალდებულებაც შეასრულა.

მწვრთნელმა მესამე ხელწერილის დაწერა შესთავაზა, ოღონდ ახლა რვის მაგიერ ხუთი სანტიმეტრი დათქვეს. ლონსკის 185 სანტიმეტრი სავსებით საკმარის სიმაღლედ მიაჩნდა მხტომელისათვის (სხვათა შორის, ოლიმპიური ჩემპიონი, ექვსგზის მსოფლიო რეკორდსმენი სიმაღლეზე ხტომაში ვალერი ბრუმელი ტანად სწორედ 185 სანტიმეტრი იყო). ერთი წლის შემდეგ უკვე ცხრამეტი წლის ჭაბუკმა ზუსტად 5 სანტიმეტრი მოიმატა. ეგ კი არა, შემდეგ წელიწადსაც, როცა დასახული პროგრამით ვარჯიში შეწყვიტა, რუსტამ ახმეტოვი „ინერციით“ კიდევ რამდენიმე სანტიმეტრით გაიზარდა. ამგვარად, საბოლოო ანგარიშით მან სულ 23 სანტიმეტრი მოიმატა.

არანაკლებ საინტერესო იყო რუსტამის სპორტული მიღწევები. დაუზარელი, გულმოდგინე ვარჯიშის შედეგად იგი გახდა საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი, გაიმარჯვა საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში, იყო ოლიმპიური თამაშების მონაწილე და მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი მხტომელი.

სამედიცინო გენეტიკისა და ანთროპოლოგიის სპეციალისტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ბ. ნიკიტიუკი „ახმეტოვის ფენომენის“ შესახებ ამბობს, რომ ამ შემთხვევაში სიმაღლეში ზრდის ფაქტორი ფიზიკური ვარჯიში იყო. ორგანიზმში ცვლის პროცესების სტიმულირებამ დააჩქარა ძვლოვანი ქსოვილის ზრდა. ამას განსაკუთრებით შეუწყო ხელი დინამიკური და მაპულსირებელი დატვირთვით ვარჯიშმა — ცურვამ, ხტომამ... მათს ხანგრძლივ ზემოქმედებას მართლაც არ შეიძლებოდა კვალი არ დაეტყო მოზარდის სიმაღლისთვის. პროფესორ ბ. ნიკიტიუკის აზრით, გამორიცხული არ არის მორალური ფაქტორის ზემოქმედებაც: ფსიქოემოციურ აღგზნებას ენდოკრინული სისტემის მეშვეობით შეიძლებოდა გავლენა მოეხდინა სიმაღლის ზრდაზე. მაგრამ ეს ყოველივე იმას არ ნიშნავს, რომ ახმეტოვმა „დაარღვია“ თავისი გენოტიპი და მემკვიდრეობითობის ფარგლები (სხვათა შორის, მისი მშობლები საშუალო სიმაღლისაც არ იყვნენ). როგორც ჩანს, მან შეძლო გამოეყენებინა სიმაღლის პოტენციური შესაძლებლობები, რაც თავისთავად არ გამოვლინდებოდა.

ამ მოსაზრების მართებულობას თვით რუსტამ ახმეტოვის პრაქტიკული საქმიანობის შედეგებიც ადასტურებს. მას შემდეგ, რაც თვითონ სარბიელზე აღარ გამოდის, რუსტამმა მწვრთნელად დაიწყო მუშაობა და ნორჩ სიმაღლეზე მხტომელებს ზრდის. რეგულარული და თანამიმდევრული ვარჯიში საუცხოო შედეგებს იძლევა. ახმეტოვის მოწაფეების საშუალო სიმაღლე 190 სანტიმეტრია, თუმცა უფრო მაღალი ბიჭებიც ჰყავს.

ბოლო წლებში დადგინდა, რომ ზომიერმა 1,5-2-საათიანმა ფიზიკურმა დატვირთვამ შეიძლება რამდენიმე ხნით სამჯერ და მეტად (!) გაზარდოს ორგანიზმში არსებული ზრდის ჰორმონი — სომატოტროპინი. მეტიც, თუ ვარჯიში დღისით სრულდებოდა, ღამით სომატოტროპინის დონე კიდევ უფრო იზრდებოდა.

სისხლში სომატოტროპინის დონის ზრდასთან ერთად გარკვეული ფიზიკური ვარჯიშები აღიზიანებენ გრძელი მილოვანი ძვლების (ზრდის ზონა) ხრტილოვან ქსოვილს. ეს შეიძლება ზრდის სტიმულად იქცეს.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ არც მცირე (სიარული, მსუბუქი სირბილი, ბანაობა), არც მეტისმეტად დიდი დატვირთვა (მარათონული რბენა, სათხილამურო გადასვლები შორ მანძილზე) სიმაღლეში ზრდას ხელს არ უწყობს. მცირე დატვირთვის დროს სტიმულაცია ნაკლებია, დიდი დატვირთვა კი ფიტავს ორგანიზმს (მაგალითად, დღეში ათასი ნახტომის შესრულებამ და შეუფერებლად მძიმე შტანგით ვარჯიშმა შეიძლება ზრდა შეაფერხოს კიდეც). წარმატებას მხოლოდ და მხოლოდ სხვადასხვა ვარჯიშთა გონივრული, სწორი შეხამება განაპირობებს, რუსტამ ახმეტოვმა კი სწორედ ამგვარი წონასწორობის დაცვა შეძლო.

მაშ ასე, რა შეიძლება ვურჩიოთ იმ ახალგაზრდებს, ვისაც სურს სიმაღლეში მოიმატოს და სამისოდ ვარჯიში არ ეზარება? პირველ ყოვლისა, უნდა გითხრათ, რომ ოცი წლის შემდეგ სხეულის სიგრძე აღარ იმატებს (ქალებში ეს ზღვარი 17-18 წელია), უფრო ახალგაზრდებს კი გირჩევთ, სანამ ვარჯიშს შეუდგებოდეთ, ჯერ ექიმს მიაკითხეთ. თუ სამედიცინო შემოწმების შედეგები დადებითია, თამამად ჩაეწერეთ სპორტულ სექციაში ან დამოუკიდებლად დაიწყეთ ვარჯიში. ორივე შემთხვევაში პროგრამის დასაყრდენი რუსტამ ახმეტოვის ვარჯიშთა კომპლექსი უნდა იყოს. ოღონდ გახსოვდეთ, რომ ვარჯიში უნდა დაიწყოთ ზომიერად, თანდათანობით. პირველ ხანებში გადაჭარბებულ გულმოდგინებას ნუ გამოიჩენთ. ყურადღებით დააკვირდით თავს და, თუ რაიმე არასასურველი ცვლილება შენიშნოთ, მაშინვე ექიმს მიაშურეთ.

აქვე გაფრთხილებთ, რომ მარტო ფიზიკური დატვირთვა, თუნდაც პროგრამა მეტად გონივრულად და ზუსტად იყოს შედგენილი, თქვენს გასაჭირს ბევრს ვერაფერს უშველის. უნდა ისწავლოთ ვარჯიშის შემდეგ ძალის აღდგენა, რადგან ზრდა სწორედ ამ დროს ხდება. ამას მიაღწევთ დატვირთვის მრავალფეროვნებით, რბენის, ხტომის, ცურვის, მოქნილობის ვარჯიშების მონაცვლეობით და წვრთნის შემდეგ ნორმალური დასვენებით, რაშიც ღრმა, უშფოთველი ღამის ძილიც იგულისხმება. გარდა ამისა, არ დაგავიწყდეთ, რომ ძვლის ზრდისთვის აუცილებელია სრულფასოვანი „საშენებლო მასალა“ — მრავალფეროვანი, ვიტამინებით მდიდარი საკვები — ხორცი, თევზეული, ბოსტნეული, ხილი, რძის ნაწარმი. სასარგებლოა ფაფები — წიწიბურისა, შვრიისა, უჩენჩო ქერისა.

ზრდას აფერხებს ნიკოტინი, ალკოჰოლი, სხვადასხვაგვარი ინფექციური დაავადებები. ამიტომ მარტო ფიზკულტურა არ კმარა, — ჯანმრთელობა უნდა გაიკაჟოთ.

რუსტამ ახმეტოვის ვარჯიშები

მსუბუქი რბენა 5-7 წუთს; მოქნილობისა და მოდუნების ვარჯიშები —. შპაგატები, „ხიდურები“, ქანები — 18-20 წუთს.

კიდი ღერძზე მთელი სხეულის მოდუნებით. ორი მისვლა (თითოეული — დაახლოებით 20 წამს) დატვირთვის გარეშე და ერთი — ფეხებზე მიბმული 5-10 კილოგრამიანი ტვირთით, კიდი თავდაღმა (ტერფები კარგად დაამაგრეთ ღვედებით). ორი მისვლა (15-15 წამი) დატვირთვის გარეშე, ერთი — 5-10 კილოგრამიანი ტვირთით.

ხტომა (ამ დროს ხელებით უნდა მისწვდეთ რაიმე საგანს, თუნდაც ხის ტოტს, კალათბურთის ფარს, ჰერს...). 10-10 ნახტომი ორჯერ ორივე ფეხის არეკნით; ამდენივეჯერ მარცხენა, მერე მარჯვენა ფეხის არეკნით. ერთი სერიის ნახტომებს შორის ინტერვალი 5-8 წამია, სერიებს შორის — 4-5 წუთი. ეცადეთ თითოეულ ვარჯიშში მთელი ძალა და მონდომება ჩააქსოვოთ, რათა ყოველი მომდევნო ნახტომი წინაზე მაღალი იყოს.

20-30-მეტრიან ბორცვზე ასვლა, სხეულის მოდუნება და დიდი სისწრაფით დაბლა დაშვება. გაიმეორეთ 3-4-ჯერ.

სხეულის გაჭიმვა სხვადასხვა მხარეს (2-3-ჯერ 15-20 წამის განმავლობაში). ამ ვარჯიშის შესრულებაში ორი ამხანაგი უნდა დაგეხმაროთ: ერთი ხელებში ჩაგკიდებთ ხელს, მეორე—ფეხებში.

რუსტამ ახმეტოვი ყველა ამ ვარჯიშს დღეში ორჯერ ასრულებდა — დილას და საღამოს. გარდა ამისა, კვირაში სამჯერ ძილის წინ იგი საწოლის ზურგზე დამაგრებული რეზინის ლენტით ან ბინტით ჭიმავდა სხეულს. ლენტის ან ბინტის ერთ ბოლოს ფეხებზე გამოიბამდა ხოლმე, მეორეს კი მხრებს ქვეშ ამოიდებდა. პირველ ხანებში ასე გაჭიმულს ძილი, ცხადია, უჭირდა, მაგრამ მერე შეეჩვია და „რეზინზე“ თავს მშვენივრად გრძნობდა.

ყოველ ორ-სამ დღეში ერთხელ რუსტამი აუზზე დადიოდა, ცურავდა და, ამავე დროს, სხვადასხვაგვარ ვარჯიშებსაც ასრულებდა. მაგალითად, ბრასით ცურვის დროს იგი ცდილობდა რაც შეიძლება მაგრად გაეჭიმა ხელები, ფეხები ყოველ მოსმაზე გრძლად გაეშალა. თამაშობდა კალათბურთს, ფრენბურთს, სხვა მოძრავ თამაშებს. ამასთან, მუდამ ცდილობდა რაც შეიძლება მეტი ეხტუნა, ყოველი „მაღალი“ ბურთისთვის ებრძოლა.

და მაინც, მთავარ ვარჯიშად რუსტამი ხტომას თვლიდა. დღის მანძილზე იგი 200 ნახტომს აკეთებდა მთელი ძალით. თუ დღის განმავლობაში ვერ მოასწრებდა, საღამოს ხტუნავდა და დასახულ ნორმას მაინც შეასრულებდა.

ზრდის დაჩქარებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვარჯიშის მრავალფეროვნებას. სპორტულ თამაშებთან და ხტომასთან ერთად სასარგებლოა ველოსიპედით სიარული, სირბილი, თხილამურებით და ციგურებით სრიალი.

48

საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი

თეთრები იწყებენ და... იგებენ

კიევი. რესპუბლიკური სტადიონი. 27 ივნისი. 61.500 მაყურებელი.

„დინამო" (კიევი)		„დინამო" (თბილისი)
მიხაილოვი		გაბელია
ბესონოვი		კეტაშვილი
ბალტაჩა	2:0	ჩივაძე
კუზნეცოვი		პედია
დემიანენკო		არზიანი
რაცი	რაცი, 35-ე წთ.	კაკილაშვილი
იაკოვენკო	ზავაროვი, 63-ე წთ.	სვანაძე
ბალი		სულაქველიძე
ზავაროვი		გურული
ბელანოვი		ცაავა
იარემჩუკი		გოგრიჭიანი

37-ე წთ. ბესონოვის ნაცვლად — ევსეევი, 62-ე წთ. გურულის ნაცვლად — შენგელია, 73-ე წთ. ბელანოვის ნაცვლად — მიხაილიჩენკო, 77-ე წთ. კაკილაშვილის ნაცვლად — ჩქარეული.

მსაჯი: იური სავჩენკო (მოსკოვი).

კარში დარტყმა 13:13 (8:8), ზუსტი დარტყმა 5:3 (2:2), საჯარიმო მოედნიდან 8:6 (4:4).

კუთხური 8:2 (4:2).

დაჯარიმდნენ — კიეველები 17 (9), თბილისელები 15 (10).

დუბლიორები 3:0.

მატჩის დაწყების წინ კიევის დინამოელებმა საბჭოთა კავშირის თასით ხელში საპატიო წრე შემოუარეს სტადიონს, ტრიბუნები ტაშის გრიალით ესალმებოდნენ თავიანთ ფეხბურთელებს. თამაშის შემდეგ მაყურებლებმა ასეთივე ტაშითა და შეძახილებით გააცილეს გამარჯვებული გუნდი, რომელმაც სავსებით დაიმსახურა ასეთი აღიარება: 23 ივნისს საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში სძლია დონეცკის „შახტიორს" (2:1), მერე კი თბილისელ თანაკლუბელთა დამარცხებით საგრძნობლად განიმტკიცა ჩემპიონატის ლიდერის პოზიციები.

ვიდრე თამაში დაიწყებოდა, ტრიბუნაზე ვიღაცამ იხუმრა, თეთრები იწყებენ და იგებენო. ის ხუმრობა მატჩის შემდეგ აღარავის გახსენებია, რადგან მასპინძლებმა დაამარცხეს თეთრფორმიანი თანაკლუბელები.

მე-5 წუთზე სულაქველიძეს, ხოლო მე-13 წუთზე გოგრიჭიანს შეეძლოთ თავის გამოჩენა, მაგრამ პირველის თავური დარტყმა ოდნავ ასცდა მიზანს, მეორე შემთხვევაში კი მეკარე მიხაილოვმა იმარჯვა. პირველი 20 წუთის განმავლობაში ეს იყო ორად-ორი ეპიზოდი, როცა თბილისელებმა საფრთხე შეუქმნეს მასპინძელთა კარს. ისეთ მეტოქესთან შეხვედრაში, როგორიც კიევის „დინამოა", ეს შესაძლოა არც იყო ურიგო მაჩვენებელი, მაგრამ, თუ დროის ამავე მონაკვეთში გაბელიას კართან შექმნილ საგოლე სიტუაციებს გავიხსენებთ, ფორტუნას ვერაფერს ვუსაყვედურებთ.

ახლა არ შევუდგები ყველა სახიფათო მომენტის ჩამოთვლას, მხოლოდ რამდენიმე მათგანზე შევაჩერებ თქვენს ყურადღებას: მე-12 წუთზე იაკოვენკომ კარგად ისარგებლა თბილისელთა საჯარიმოში შექმნილი არეულობით და წაქცეულმა მაინც მოახერხა კარში დარტყმა. გაბელია თითებით შეეხო ბურთს, რომელიც ჯერ ძელს მოხვდა, მერე კი კუთხურზე გადავიდა. ორი წუთის შემდეგ ზავაროვმა 8 მეტრიდან არაზუსტად დაარტყა, მე-16 წუთზე მანვე კარგად ითამაშა მარჯვენა ფლანგზე, ასევე კარგად მიაწოდა ბურთი ბალს, მაგრამ ამ უკანასკნელმა ისევ ააცდინა მიზანს. ამ ეპიზოდიდან წუთიც არ იყო გასული, რომ ბელანოვი პარტნიორებმა გაბელიას პირისპირ გაიყვანეს, მაგრამ სწრაფმა თავდამსხმელმა ამჯერად საკუთარ თავს უღალატა და საშუალება მისცა მეტოქის მცველებს მისთვის ხელი შეეშალათ.

გოლის გატანის ამდენი რეალური შესაძლებლობის დაკარგვამ, ეტყობა, უარყოფითად იმოქმედა კიეველებზე, ყოველ შემთხვევაში, მომდევნო 20 წუთში თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და თუ სახიფათო მომენტების თვლას შევუდგებით, სასწორი თბილისელთა მხარეს გადაიხრება.

მით უფრო საწყენი იყო გოლი, რომელიც 35-ე წუთზე გაიტანა რაცმა. იარემჩუკმა მარჯვენა ფლანგიდან კარისკენ ჩააწოდა ბურთი, რაცი ყველაზე მაღლა ახტა და ზუსტი თავური დარტყმით გახსნა ანგარიში.

შესვენების შემდეგ უკრაინელ ფეხბურთელთა უპირატესობა უკვე სრულიად აშკარა იყო. თავის გამოჩენა შეეძლოთ ბელანოვს, რაცს, იაკოვენკოს, მაგრამ მათ ხელიდან გაუშვეს ეს შესაძლებლობა, სამაგიეროდ ზავაროვმა 63-ე წუთზე თავისი გუნდის გამარჯვება განამტკიცა: სვანაძემ მეტისმეტად მშვიდად გაატარა რაცი, რომლის დარტყმული ბურთი ჯერ მცველს მოხვდა, შემდეგ კი პირდაპირ ზავაროვს მიუგორდა — 2:0.

მეორე ტაიმის განმავლობაში თბილისელებმა სულ ორჯერ თუ გაიბრძოლეს — ჩივაძისა და სულაქველიძის მიერ საშუალო მანძილიდან დარტყმული ბურთები მცირე მანძილით აცდა მიხაილოვის კარს.

ერთი სიტყვით, კიეველები მინდვრის სრული ბატონ-პატრონები გახდნენ, ისინი მეტოქეს ჯობდნენ გადაცემის სიზუსტეშიც, სისწრაფეშიც, ორთაბრძოლებშიც, ურთიერთდაზღვევაშიც... თბილისელები ხშირად კარგავდნენ ბურთს, კიევის „დინამოსთან" მატჩში კი ასეთი უგულისყურობა დაუსჯელად არავის ჩაუვლის. შუა მინდორში არაზუსტ გადაცემას თითქმის ყოველთვის კიეველთა მორიგი სახიფათო იერიში მოსდევდა. ხშირად ცდებოდნენ მცველებიც, რომელთა შორის ამ მხრივ ყველაზე მეტად არზიანი „გამოირჩეოდა". ჩვენს მარცხენა მცველს განსაკუთრებით მძიმე ბრძოლა გადახდა იარემჩუკთან და ზავაროვთან, რომლებთანაც პარტნიორებიც შესანიშნავად ურთიერთმოქმედებდნენ.

თბილისის „დინამომ" კიდევ ერთი თამაში წააგო, კიეველთათვის კი ეს გამარჯვება იმითაც არის აღსანიშნავი, რომ მისი წყალობით საერთო დადებით ბალანსს მიაღწიეს თბილისელ ფეხბურთელებთან. საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში გამართული 86 მატჩიდან კიეველებმა 28 მოიგეს, 27 წააგეს, ხოლო 31 ფრედ დაამთავრეს. ოპტიმისტებს შეუძლიათ იმით დაიმშვიდონ თავი, რომ ბურთების სხვაობა ჯერჯერობით ჩვენ სასარგებლოდაა — 115:114.

დავით კაკაბაძე.
(ტელეფონით „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი).

კიევი.

„ზურგის" ღალატი მძიმე გამოდგა

ხარკოვი. „მეტალისტის" სტადიონი. 27 ივნისი. 15.000 მაყურებელი.

„მეტალისტი" (ხარკოვი)		„ტორპედო" (ქუთაისი)
კუტეპოვი		ქანთარია
ლოჟინსკი		ფრუიძე
კუზნეცოვი	3:1	კუდინოვი
პანჩიშინი		ჭილაია
შევჩენკო	ხაზბა, 27-ე წთ.	შვეცოვი
სოკოლოვსკი	ტარასოვი, 36-ე წთ.	ჯოხაძე
ივანოვი	სვისტუნი, 52-ე წთ.	კორღალიძე
ტალკო	ტალკო, 73-ე წთ.	ჭელიძე
კასუმოვი		მეგრელაძე
სვისტუნი		ხაზბა
ბონდარენკო		ცვერნაძე

21-ე წთ. კასუმოვის ნაცვლად — მახინია, 35-ე წთ. სოკოლოვსკის ნაცვლად — ტარასოვი, 73-ე წთ. ჭილაიას ნაცვლად — შენგელია.

გააფრთხილეს ტარასოვი.

მსაჯი: ვლადიმერ ნოვიკოვი (მოსკოვი).

კარში დარტყმა 13:9 (9:2), ზუსტი დარტყმა: 7:4 (2:3), საჯარიმო მოედნიდან: 8:5 (5:1).

კუთხური: 7:3 (2:1).

დაჯარიმდნენ ხარკოველები 23 (12), ქუთაისელები 11 (5).

დუბლიორები — 3:1. ქუთაისელთაგან ბურთი გაიტანა შენგელიამ.

უკრაინის იმ ხუთი გუნდიდან, რომლებიც უმაღლეს ლიგაში გამოდიან, ყველაზე მეტად „მეტალისტს" უჭირს, ალბათ, ამიტომაც ქუთაისელებთან მატჩის წინ მასპინძლებს ყურადღება არ მოჰკლებიათ. ხარკოვში ჩამოვიდნენ უკრაინის ფეხბურთის სამმართველოს, ფედერაციის წარმომადგენლები, შედგა გუნდის საგანგებო კრებაც. დიახ, აუტსაიდერთა ამ შეხვედრას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. პირველი წრის ფონიშზე შექმნილი სატურნირო მდგომარეობა უკომპრომისო ბრძოლისთვის განაწყობდა მეტოქეებს, ასეთ პრინციპულ მატჩებს კი თან სდევს ნერვული დაძაბულობა, რომელმაც ამ შეხვედრის დასაწყისშიც იჩინა თავი. თამაში ნელ ტემპში დაიწყო. ფეხბურთელები ზედმეტად ფრთხილობდნენ და ბურთიც უმეტესად მინდვრის ცენტრში ტრიალებდა. ბუნებრივია, თამაშის გამწვავებას პირველად მასპინძლები შეეცადნენ. მე-10 და მე-12 წუთებზე ტორპედოელთა ცენტრალური მცველების შეცდომის შემდეგ ბონდარენკო ორჯერ ზედიზედ აღმოჩნდა საგოლე სიტუაციაში. პირველ შემთხვევაში ქანთარიამ იმარჯვა — ფეხით მოიგერია პირისპირ გასული თავდამსხმელის მიერ დარტყმული ბურთი, მეორე შემთხვევაში კი ბონდარენკომ 8-10 მეტრიდან მცირე მანძილით ააცილა ბურთი მიზანს. მართალია, ამ წუთებში ხარკოველებმა უკვე ორი სახიფათო შეტევის ორგანიზაცია შეძლეს, მაგრამ სტუმრებმა ჯოხაძის, კორღალიძისა და თავდამსხმელთა აქტიური თამაშის მეშვეობით არამარტო გაათანაბრეს თამაში, არამედ გარკვეული უპირატესობაც მოიპოვეს. სახიფათოდ უტევდნენ კარს მეგრელაძე და ხაზბა, 27-ე წუთზე კი ანგარიშიც გაიხსნა — ცვერნაძე სწრაფი დრიბლინგით შეიჭრა საჯარიმო მოედანზე და ზუსტად ჩააწოდა ხაზბას, რომელიც კარგად გაუსხლტა მცველებს —1:0.

გოლმა მეტი დამაჯერებლობა შესძინა სტუმრების თამაშს, ხარკოველთა მცველები, რომელთა რიგებში ამ დღეს არ იყო გამოცდილი კამარზაევი (იგი არც თბილისის „დინამოსთან" ითამაშებს), ხარვეზებით თამაშობდნენ. მარტო ხაზბას ორჯერ მაინც შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ 36-ე წუთზე საჯარიმო მოედნის ხაზზე შვეცოვისა და სვისტუნის შეტაკების დროს მატჩის არბიტრმა დამნაშავედ მცველი მიიჩნია და 11-მეტრიანი დანიშნა. ტარასოვის ძლიერმა დარტყმამ მიზანს მიაღწია — 1:1.

ასე დამთავრდა პირველი ტაიმი. შთაბეჭდილება ისეთი გვქონდა, თითქოს, საკმარისი იყო ჩვენს ფეხბურთელებს ოდნავ მაინც მოემატებინათ თამაშისთვის, რომ გაიმარჯვებდნენ, ან, სულ ცოტა, ქულის აღებას შეძლებდნენ, მაგრამ სულ სხვაგვარად წარიმართა შეხვედრის მეორე ნახევარი. 52-ე წუთზე სვისტუნმა კარგად ისარგებლა ქუთაისელ მცველთა შეფერხებით, რომელთაც ვერა და ვერ შეძლეს ბურთის მოგერიება, ვერც მეტოქე თავდამსხმელებს შეუშალეს ხელი და მასპინძლები დაწინაურდნენ, მერე კი ტორპედოელთა მცველები კვლავ შეცდნენ, 73-ე წუთზე ტალკომ კიდევ უფრო დააწინაურა „მეტალისტი" — 3:1.

ზურგის მოთამაშეთა „ღალატი" მძიმე გამოდგა. ტორპედოელებმა ვეღარ შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშის მსვლელობაში.

თამაზ ხარაბაძე.
(ტელეფონით „ლელოს" სპეციალური კორესპონდენტი).

ხარკოვი.

სხვა მატჩები:

27 ივნისს შედგა სსრ კავშირის ფეხბურთის ჩემპიონატის XVIII ტურის კალენდარული მატჩები უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის:

„ქაირათი" — „დნეპრი" 1:1, „ტორპედო" მ. — „ჩერნომორეცი" 0:0, „შახტიორი" — „ნეფთჩი" 1:1, „დინამო" მნ. „სპარტაკი" 2:0, „ჟალგირისი" — „ზენიტი" 0:0, „ფაკელი" — ასკ რ. 2:0.

გათამაშების ცხრილი, უმაღლესი ლიგა

ძირითადი შემადგენლობანი, მდგომარეობა 29 ივნისისთვის

		თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
1.	„დინამო" (კიევი)	16	10	5	1	30-10	25	(—7)
2.	„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)	16	8	7	1	27-13	23	(—9)
3.	„ტორპედო" (მოსკოვი)	16	8	5	3	19-10	21	(—11)
4.	„სპარტაკი" (მოსკოვი)	16	7	7	2	30-11	21	(—11)
5.	„დინამო" (მინსკი)	16	7	6	3	19-11	20	(—12)
6.	„დინამო" (თბილისი)	16	7	5	4	18-15	19	(—13)
7.	„ფაკელი" (ვორონეჟი)	17	6	5	6	14-17	17	(—17)
8.	„ქაირათი" (ალმა-ათა)	16	4	7	5	13-19	15	(—17)
9.	„ზენიტი" (ლენინგრადი)	16	6	2	8	20-19	14	(—18)
10.	„ჩერნომორეცი" (ოდესა)	16	5	4	7	19-28	14	(—18)
11.	„შახტიორი" (დონეცკი)	16	4	6	6	21-21	14	(—18)
12.	„მეტალისტი" (ხარკოვი)	16	5	3	8	18-27	13	(—19)
13.	„დინამო" (მოსკოვი)	16	4	5	7	22-25	13	(—19)
14.	„ნეფთჩი" (ბაქო)	16	4	5	7	13-18	13	(—19)
15.	„ჟალგირისი" (ვილნიუსი)	16	4	5	7	17-26	13	(—19)
16.	„ტორპედო" (ქუთაისი)	16	4	5	7	13-24	13	(—19)
17.	„არარატი" (ერევანი)	16	3	6	7	18-23	12	(—20)
18.	ასკ (როსტოვი)	17	3	4	10	15-27	10	(—21)

გუშინ, ერთკვირიანი შესვენების შემდეგ, გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XIX ტურის მატჩები.

ბათუმის დინამოელებმა შინ მიიღეს აბოვიანის „კოტაიკი" და გაიმარჯვეს — 2:1.

ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „გურია" და კრასნოდარის „კუბანი". თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:1 მასპინძელთა სასარგებლოდ.

II ლიგა

II ლიგა, IX ზონა
გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 29 ივნისისთვის

	თ	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„გიანჯლიკი"	11	7	3	1	15-6	17
„ქიაფაზი"	11	7	1	3	29-9	15
„დინამო"	11	7	1	3	19-10	15
„დილა"	11	5	4	2	16-6	14
„ყარაბახი"	11	6	1	4	14-10	13
„მერცხალი"	11	6	1	4	12-12	13
„კოლხოზჩი"	11	5	3	3	14-8	13
„სპარტაკი"	11	6	0	5	21-21	12
„მეშახტე"	11	4	3	4	15-13	11
„ავტომობილ."	11	4	2	5	12-14	10
„კოლხეთი"	11	4	1	6	15-16	9
„ლოკომოტ." ს.	11	4	1	6	14-15	9
„შირაკი"	11	4	1	6	10-20	9
„არაზი"	11	2	3	6	6-15	7
„ლოკომ." თბ.	11	1	5	5	9-16	7
„ოლიმპია"	11	0	2	9	7-37	2

ზიკო: „ბრაზილიას არასოდეს მივატოვებ!"

იტალიის „უდინეზეში" გატარებულ სამ წელიწადს ზიკო თავისთვის დაკარგულად თვლის.

— ვიცი, რომ იტალიელ გულშემატკივრებს იმედები ვერ გავუმართლე. ამასთან ისიც უნდა ვთქვა, რომ ვერც მე ავისრულე ოცნება. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს კლუბ „ფლამენგოდან", ცხადია, „უდინეზეში" არ უნდა გადავსულიყავი. ამ ქალაქის მესვეურებს განზრახული ჰქონდათ დიდი გუნდი შეექმნათ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. მინდა განვაცხადო, რომ ამიერიდან არასოდეს დავტოვებ ბრაზილიას, ვითამაშებ „ფლამენგოსა" და ეროვნულ ნაკრებში.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ფირმასთან დადებულ სარეკლამო ხელშეკრულებათა შემოსავლიდან ბაჟის გადაუხდელობის გამო იტალიაში ზიკოს წინააღმდეგ სასამართლო საქმე აღიძრა. ერთ-ერთი ჟურნალისტის შეკითხვაზე: „რა აზრისა ხართ იმაზე, რომ იტალიის სასამართლომ 8 თვის პატიმრობა მოგისაჯათ და დიდი ფულადი ჯარიმა დაგაკისრათ?" — ზიკომ უპასუხა:

— მე უკვე ვესაუბრე ადვოკატს, რომელიც თვლის, რომ ყველაფერი მოგვარდება. ეტყობა, ჩვენი კასაციის განხილვას საკმაო დრო, ორი-სამი წელი მაინც დასჭირდება. ყოველ შემთხვევაში, სიმართლემ უნდა გაიმარჯვოს.

ზიკო დაბეჯითებით აცხადებს, რომ მას იტალიის კანონები არ დაურღვევია: სარეკლამო ხელშეკრულებები მანამდე გააფორმა, სანამ „უდინეზეში" დაიწყებდა თამაშს.

ტოშაკი სან-სებასტიანში გადავიდა

ჯონ ტოშაკი, რომელიც უწინ უელსის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი იყო, ახლა მწვრთნელად მუშაობს. მას შემდეგ, რაც ლისაბონის „სპორტინგთან" კონტრაქტს ვადა გაუვიდა, ტოშაკი ესპანეთში გადავიდა და ქვეყნის ორგზის ჩემპიონს, სან-სებასტიანის „რეალ-სოსიედადს" ჩაუდგა სათავეში.

სათამაშო მოედანი ბავშვებს

რა უნდა იყოს ბავშვებისთვის ეზოს სპორტული მოედნის გახსნაზე უფრო სასიხარულო. ასეთი სიხარული განიცადეს წინანდლის ქუჩაზე მცხოვრებმა ბავშვებმა და არა მარტო ამ ქუჩის მოზარდებმა.

სპორტული მოედნის გახსნას მიეძღვნა 26 კომისრის სახელობის რაიონის საბინაო-საექსპლოატაციო უბნებთან არსებული ცნობილ სპორტსმენთა სახელობის კლუბების აღსაზრდელთა შეჯიბრებები.

მოზარდებმა იასპარეზეს ფრენბურთში, მინი-ფეხბურთში, ქართულ ჭიდაობაში, ჭადრაკში, სიმძიმეების აწევასა და ბაგირის გადაძალვაში. შემდეგ სარბიელი დაეთმოთ უფროსებს. აქ განსაკუთრებით აქტიურობდნენ ღეხსაცმელების ფაბრიკა „ისანის“, ქარხანა „მიკროძრავის“, კერამიკული კომბინატისა და საწარმოო გაერთიანება „თბილითონნაწარმის“ ფიზკულტურული კოლექტივები.

ახალი სპორტული მოედანი 26 კომისრის სახელობის რაიონის ალმასკომისა და ფიზკულტურის კომიტეტის თაოსნობით გაიხსნა.

გელა ჯაუტაშვილი.

ვუბრუნდებით დაბეჭდილს

„გასაჭირი“

ასეთი სათაურით ახლახან ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა წერილი, რომელიც მიეძღვნა ჩვენში მაგიდის ჩოგბურთის ჩამორჩენისა და ამ სახეობაში არსებული ნაკლის გამოსწორების საკითხებს. მას შემდეგ რედაქციაში გამუდმებით გვირეკავენ, ვღებულობთ წერილებს. ცალკეული ორგანიზაციები, ხაკლუბო დაწესებულებები, სპორტული საზოგადოებები, ხახლმართველობები სურვილს გამოთქვამენ წვლილი შეიტანონ ამ საქმეში, კერძოდ, მზად არიან გახსნან სექციები და ჯგუფები საწარმო-დაწესებულებებში, საცხოვრებელ ადგილებში. მზად არიან მაგრამ... ყველა მათგანი ერთი და იგივეს გვიმეორებს — დაგვეხმარეთ შევიძინოთ ჩოგბურთის მაგიდები, ბადე, ჩოგანი და ბურთიო. ბურთების გახაჭირზე უკვე ვწერდით და იმედი გვაქვს ის ორგანიზაციები, ვისაც ამ საკითხის მოგვარება ევალება, ხმას მოგვაწვდიან თუ რა ღონისძიებების გატარება აქვთ გადაწყვეტილი. სამწუხაროდ, ძნელი საშოვნელ-შესაძენი ყოფილა არა მარტო ბურთები, არამედ ბადე და ჩოგანიც, ერთი სიტყვით, მთელი აქსესუარი. მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარი, როგორც ჩანს, არასაკმარისი რაოდენობით შემოდის სავაჭრო ქსელში და ვერ აკმაყოფილებს გაზრდილ მოთხოვნას.

ერთი სიტყვით, ნათელია რისი გაჭირვება გვმართებს. შევძლებთ პრობლემის გადაჭრას? უნდა შევძლოთ. გამოსავალი ერთია — მეტი რაოდენობით შემოვიტანოთ ინვენტარი რესპუბლიკაში, თანაც ყველაფერი ვიღონოთ იმისთვის, რომ იქნებ თვად ავითვისოთ მისი წარმოება. რაღა თქმა უნდა, სათანადო ორგანიზაციებმა იმისთვისაც უნდა იზრუნონ, რომ მსურველებს ინვენტარის გადარიცხვით შეძენის შესაძლებლობაც მიეცეთ.

გუშინ სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის“ საგზაო სამშენიდან გვაცნობეს, რომ ტელმანის ქუჩაზე რკინიგზელთა საცხოვრებელი ბინის პირველი კორპუსის ეზოში უკვე მოუტანიათ ჩოგბურთის ერთი მაგიდა. მალე სპეციალური კომისია დაადგენს თუ სად შეიძლება დაიდგას ჩოგბურთის მაგიდები. მისაბაძი თაოსნობაა.

გამოსათხოვარი

ქართულმა სპორტმა, ჭიდაობის მოყვარულთა მრავალათასიანმა არმიამ გულისტკივილით დაიტირა ცნობილი ფალავანი, მართალი და უღალატო სიტყვის კაცი ვაღარშაკ მაჩკალიანი. ასეთ ადამიანთან განშორება მუდამ ძნელია. ძნელია იმის წარმოდგენაც, რომ ჩვენგან წავიდა კაცი, ვინც მთელი ცხოვრება მართალი საქმისა და სიკეთის სამსახურს შეალია.

მისი ღვაწლი და ამაგი ყველასთვის ცნობილია. „ჩემი თაობის ბიჭებს მაჩკალიანმა კაცობა ასწავლა მაშინ, როცა კარგად არც ვიცოდით, რომ ნამდვილი მოჭიდავე პირველ ყოვლისა ადამიანი უნდა ყოფილიყო“, — ამბობს გივი კარტოზია თავისი უფროსი მეგობრის შესახებ.

მაჩკალიანი იმ თაობის გამორჩეული წარმომადგენელი გახლდათ, ვისთანაც დაკავშირებული იყო ქართული სპორტის ყველა სიხარული, მისი ყველა წარმატება. მან ერთმანეთს დაუკავშირა ორი თაობა, ძველი გვარდიის სიბრძნე და ჭკუა ახალგაზრდებს გადასცა და მათთან ერთად იარა კიდევ დიდხანს.

ასეთ საპატიო საქმეს მხოლოდ მაჩკალიანის ხასიათისა და თვისებების მქონე ხალხი ეჭიდება. ასაკით უფრო დიდთან თვითონაც დიდი იყო, უმცროსთან — უმცროსი, მაგრამ გულს ყველას ერთნაირი უშუალობითა და მინდობით უხსნიდა. თავისი თაობის უფლებამოსილება ხალისით და უშურველად გადასცა ახალგაზრდებს. წინამძღოლობაც თვითონ იკისრა და ყველა უსიტყვოდ აიყოლია იმიტომ, რომ საქმითა და ცხოვრების წესით ყველასთვის სამაგალითო კაცი იყო.

სხვისი სიხარული მისი სიხარულიც იყო, სხვისი მწუხარება — მისი გულისტკივილი. პირველი გამარჯვება თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა პირველ ჩემპიონატში (1945 წელი, ლენინგრადი) ვასილ ილურიძესთან, დავით ციმაკურიძესთან და არსენ მეკოკიშვილთან ერთად იზეიმა. მომდევნო ჩემპიონატებშიც პირველი იყო: 1946 წელს — თბილისში, 1947 წელს — ტალინში, 1948 წელს — ბაქოში. ოთხჯერ ისე გახდა ჩემპიონი, რომ ერთი ბრძოლა რაა, ისიც არ წაუგია. თოთხმეტი შეხვედრა წმინდად ჰქონდა მოგებული, ხუთი — ქულებით. რომელი მოჭიდავე დაიკვეხნის ასეთ მაჩვენებელს?

იგი ადრეც გამოდიოდა სარბიელზე. 1938 წლიდან მოყოლებული კლასიკურ ჭიდაობაში პირველობას ეცილებოდა ხან კ. დერიჩს, ხან ქ. კობერიძეს, ა. მაზურს, მ. სტრიქაკს. ქვემძიმე წონაშიც ისევე ძლიერი იყო, როგორც მძიმეში (ორი მეორე და ექვსი მესამე ადგილი). არც არის გასაკვირი: ჭიდაობის ისტორიას სწორედ ასეთი უტეხი ფალავნები ქმნიან.

დღეს, როცა 71 წლის ვეტერანის ცხოვრებას ვიხსენებთ, გვიძნელდება კიდეც თქმა, მისი რომელი თვისება გვხიბლავდა უფრო მეტად. სპორტსმენი — დიდი იყო, მეგობარი — ერთგული და მზრუნველი. ჭიდაობას ბევრი ოსტატი აღუზარდა. საყვარელ საქმეს, ქალაქს, მამულს იყო მიჯაჭვული. იმაზე მეტი არასდროს მიუღია, რაც ერგებოდა, რაც ბედმა არგუნა.

იგი გაგრაში დაიბადა და ამიტომაც თავისი მიწა-კუთხის ერთგული იყო. თბილისის სახელით ჭიდაობდა და საქართველოს სპორტული ღირსებისთვის ძალა არ დაუზოგავს. ჭიდაობას რომ ჩამოშორდა, სხვა მიწიერ სიკეთეზე არც უფიქრია — მაშინვე მშობლიურ კუთხეს დაუბრუნდა და ფესვებგადგმულ მუხასავით სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე იქ იცხოვრა. სულიც იქ დალია. ასეთი ერთგულება ერთი-ორად ამაღლებს კაცს ხალხის თვალში.

საქართველოს მოჭიდავეთა გუნდი ორმოციან წლებში. მარჯვნიდან პირველი, გარდამავალი თასით ხელში ვაღარშაკ მაჩკალიანია — ნაკრების კაპიტანი. აქვე არიან: დავით ციმაკურიძე, კონსტანტინე ჯავახიშვილი, ირაკლი ყიფიანი, ვახტანგ კუხიანიძე, ვასილ ილურიძე და ლეონიდ ძეკონსკი.

ვეტერანი მოჭიდავეები.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

ივან ლენდლი:

„ჩემი დევიზია თავდაუზოგავი ვარჯიში“

დღევანდელ სპორტში წარმატება წარმოუდგენელია ოფლისღვრის გარეშე. ყველა დიდი სპორტსმენის ბიოგრაფია ამ ჭეშმარიტების კიდევ ერთი დადასტურებაა. 24 წლის ივან ლენდლის სპორტული ცხოვრებაც ამისი ნათელი მაგალითია. მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელს გადაწყვეტილი აქვს კიდევ 15 წელიწადს ითამაშოს...

ინტერვიუ, რომელსაც „ლელოს“ მკითხველებს ვთავაზობთ, საზღვარგარეთის პრესის მასალების მიხედვით მოამზადა მალხაზ რადიანმა.

● **უკანასკნელი ოთხი წლის მიღწევებით თქვენ მსოფლიოს პირველ სამეულში შედიხართ, მაგრამ არასოდეს ყოფილხართ № 1 ჩოგბურთელი. ხომ არ დაგიკარგავთ იმედი, რომ ოდესმე ამ მწვერვალსაც დაიპყრობთ?**

— როგორ გეკადრებათ. ასე რომ მეფიქრა, ჩოგბურთს თავს კარგა ხნის წინ დავანებებდი. მარცხს ყოველთვის მწარედ განვიცდი. უსიამოვნო გრძნობაა. პირველ წრეში დამარცხდები თუ ფინალში, ამას არა აქვს მნიშვნელობა. წაგება წაგებაა.

● **ჯერ შვედი ბორგი არღვევდა თქვენს „მყუდროებას“, ახლა იგი მაკინროუმ შეცვალა.**

— ნუ ვიჩქარებთ. თქვენ მოწმე იქნებით, რომ მე დავამარცხებ მაკინროუს. შესაძლოა, ეს ძალიან მალე მოხდეს.

● **მაკინროუსთან უკანასკნელ პერიოდში ნათამაშები მატჩებიდან თქვენ მხოლოდ ერთში გაიმარჯვეთ. ასე რატომ გიჭირთ მასთან მოგება?**

— თავისუფლად თამაშობს, უფრო სწორად, ძლიერად. ახლა იგი გაცილებით უკეთ მოძრაობს კორტზე, სისწრაფესაც უმატა. ამას დაემატა ძლიერი დარტყმები უკანა ხაზიდან. ასე რომ, მაკინროუ დღეს თითქმის უშეცდომოდ თამაშობს და თუ რამეში მართლა მოიკოჭლებს, ეს ნაკლი ისეა შენიღბული, რომ ადვილად ვერავინ შეამჩნევს.

● **იქნებ მისი ბოლოდროინდელი წარმატებები ფსიქოლოგიურმა ფაქტორმაც განსაზღვრა?**

— ფსიქოლოგია ჩოგბურთისგან განუყოფელია. ჩემთან მის პირველ გამარჯვებას მეორე და მესამე მოჰყვა. იმარჯვებდა ხშირად და ითლად. სანუგეშოდ ერთი რამ მრჩება — მეტი, კიდევ მეტი მუშაობა საკუთარ თავზე. მნიშვნელოვანი ტურნირის წინ დღეში ექვს საათს ვვარჯიშობ. ყველაფერს, რასაც აქამდე მივაღწიე, თავდადებულ შრომას ვუმადლი.

● **საუბრობთ ხოლმე სპორტსმენები ერთმანეთთან გასახდელში?**

— თითქმის არა. ერთადერთი, რასაც ჩვენგან გაიგონებთ, ეს არის მისალმება — „ჰელოუ!“

● **როგორ აფასებთ გვერდითი მსაჯების მოქმედებას?**

— ისინი ხშირად ცდებიან, ანდა ძალით უშვებენ შეცდომას — გააჩნია, სად ტარდება ტურნირი და ვინ მონაწილეობს. მე უფრო ტექნიკური დანადგარების მომხრე ვარ. წარმოიდგინეთ, რა სანახავი იქნება ავტომატიკასთან მოჩხუბარი მაკინროუ.

● **რატომ არის ზოგიერთი პროფესიონალი ჩოგბურთელი თავშეუკავებელი?**

— კორტზე იშვიათია, რომ ორი სპორტსმენი აგრესიულობით გამოირჩეოდეს. უმეტეს შემთხვევაში ერთი მხარე უფრო აგრესიული და თავდაუჭერელია. სწორედ ეს ახდენს ფსიქოლოგიურ ზეგავლენას მსაჯზე — ისიც ხომ ჩვეულებრივი მოკვდავია. სხვა აღარაფერი დარჩენია, დაუთმოს ერთ-ერთ მხარეს.

● **კი მაგრამ, ბორგი? იგი ხომ საეჭვო სიტუაციებშიც კი ეთანხმებოდა მსაჯის გადაწყვეტილებას.**

— ბორგი უძლიერესი ჩოგბურთელი იყო და ხშირად ყველაფერი მის სასარგებლოდ წყდებოდა. ამიტომაც იქცეოდა ასე წყნარად. დღეს მეტი აქტიურობაა საჭირო.

● **იმ სიტყვა-პასუხს, ხშირად კორტებზე რომ გაისმის, ფეხბურთში წითელი ბარათი და დისკვალიფიკაცია მოჰყვება ხოლმე.**

— თუ ვინმე ცუდად იქცევა, უნდა დაისაჯოს კიდეც. არსებობს ორ-და სამკვირიანი დისკვალიფიკაცია. თუ ამანაც არ გაჭრა, ჩოგბურთელს ნახევარი წლით ეკრძალება თამაში.

● **კი მაგრამ, თუ არსებობს სასჯელის ამგვარი ზომები, რატომ არ იყენებენ მას „ვარსკვლავების“ წინააღმდეგ?**

— მე ჩოგბურთელებს ერთმანეთისგან არ ვასხვავებ. დამნაშავე უნდა დაისაჯოს.

● **ესე იგი, არა აქვს მნიშვნელობა, კონორსი იქნება, მაკინროუ თუ სხვა ვინმე. კოლეგები იზიარებენ თქვენს აზრს?**

— ყველას თავისი შეხედულება აქვს. ზოგიერთს რომ ჰკითხო, მაგალითად, მაკინროუს გამოხტომების გარეშე ჩოგბურთი შესაძლოა უინტერესოც კი იყოს.

● **ამ ბოლო ხანს კვლავ დაწინაურდნენ შვედი ჩოგბურთელები. შვეციის ნაკრებმა დევისის თასის შარშანდელ გათამაშებაში ამერიკელებიც კი დაამარცხა. მსოფლიოს თხუთმეტ ჩოგბურთელს შორის ხუთი შვედია.**

— ეს შემთხვევითი არ არის. საოცარია შვედების დამოკიდებულება სპორტის ამ სახეობისადმი. ჩოგბურთი ინდივიდუალური თამაშია, ერთად თავშეყრილ შვედებს კი როგორღაც ერთ მთლიან გუნდად აღიქვამ. ბავშვობიდანვე ერთად, მკაცრ პირობებში ვარჯიშობენ. ათი-თორმეტი ბეჯითი ახალგაზრდა სპორტსმენისგან არ შეიძლება ორი-სამი კარგი ჩოგბურთელი არ დადგეს.

● **წლის განმავლობაში რამდენ ხანს გიწევთ ტურნირებზე მოგზაურობა?**

— კარგა ხანს. კორტზე წელიწადში 35 კვირას ვატარებ. რაც შეეხება ჩემს მიერ გავლილ კილომეტრებს, ყურადღებას აღარ ვაქცევ. არც დრო მრჩება ამისთვის. შრომა, თავდაუზოგავი ვარჯიში — აი, ჩემი დევიზი.

რედაქტორის მოადგილე
თ. ბაჩეჩილაძე.

ეკრანზე
და
ეთერში

ცენტრალური ტელევიზია. 29 ივნისი. დილის ტანვარჯიში 9.00 (2), ჯანმრთელი რომ იყო — 9.15 (2), ჩეხოსლოვაკიის სპარტაკიადა — 20.40 (1), სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში — 23.55 (2).

საკავშირო რადიო. 29 ივნისი. დილის ტანვარჯიში — — 6.15 და 7.15.

საქართველოს ტელევიზია. 29 ივნისი. სსრ კავშირის ჩემპიონატი წყალში ხტომაში — 21.15.

თბილისის სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექცია აცხადებს, რომ ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შეიქმნა ველო გამაჯანსაღებელი ჯგუფები.

მეცადინეობის მსურველები მიიღებიან 8 წლის ასაკიდან. მათ უხელმძღვანელებენ გამოცდილი მწვრთნელები. ვარჯიშები ჩატარდება ყოველდღე 11-დან 13 საათამდე და 17-დან 19 საათამდე.

ცნობებისათვის მიმართეთ: აკ. წერეთლის გამზ. № 2, სპორტკომბინატი „დინამო“, ტელეფონი 95-03-76.

დირექცია.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14
დეპეშებისთვის—თბილისი, „ლელო“

რედაქციის ტელეფონები:
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53
წერილების განყოფილება — 93-97-55
„მართვე“ — 93-97-27, „მერანი“ — 93-97-26

ჩვენი ინდექსია:
66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ., 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 22 უე 0614